ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის II კვარტლის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის

ა ქ ტ ი

ქ. ფოთი აგვისტო 2022 წელი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა." ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის N1/5 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 2021 წლის 21 დეკემბრის № 2/87 განკარგულების „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" საფუძველზე, საკრებულოს ექსპერტ - სპეციალისტმა ა. იოსავამ შეისწავლა საკითხი **„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის II კვარტლის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ"** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კამერალური მეთოდით.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამტკიცებულ ბიუჯეტში კვარტალური დაყოფა და საანგარიშო პერიოდში ცვლილებების შეტანა ხორციელდებოდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების სამსახურის მიერ, ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის **(Ebudget)** თანახმად.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის №2/25 დადგენილებით. საანგარიშო პერიოდში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებით და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილია რიგი ცვლილებები.

2022 წლის II კვარტლის გეგმები და მათი შესრულება განისაზღვრა შემდეგნაირად:

A. შემოსულობების ნაწილი

შემოსულობების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 6548,3 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 3355,7 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 9904,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 16841,3 ათ. ლარი, ე.ი. 6937,3 ათ. ლარით მეტი, ანუ 170,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 2044,6 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 13,8 პროცენტი.

მათ შორის:

I. შემოსავლები

შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 6448,3 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 3355,7 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 9804,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 16768,8 ათ. ლარი, ე.ი. 6964,8 ათ. ლარით მეტი, ანუ 171,0

პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 2993,7 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 21,7 პროცენტი.

შემოსავლები სახეების მიხედვით დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

1. გადასახადები

გადასახადების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 5861,7 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 1299,8 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 7161,5 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 13939,9 ათ. ლარი, ე.ი. 6778,4 ათ. ლარით მეტი, ანუ 194,7 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 3289,8 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 30,9 პროცენტი.

გადასახადები სახეების მიხედვით დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

1.1. **ქონების გადასახადის** დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 4393,6 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 1066,7 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 5460,3 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 12280,2 ათ. ლარი, ე.ი. 6819,9 ათ. ლარით მეტი, ანუ 224,9 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 2788,3 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 29,4 პროცენტი.

ქონების გადასახადი სახეების მიხედვით დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

ა) **საქართველოს საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის** დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 4288,6 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 1066,7 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 5355,3 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 12147,7 ათ. ლარი, ე.ი. 6792,4 ათ. ლარით მეტი, ანუ 226,8 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 2737,2 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 29,1 პროცენტი.

ბ) **უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის** დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 30,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 56,3 ათ. ლარი, ე.ი. 26,3 ათ. ლარით მეტი, ანუ 187,7 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 19,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 53,0 პროცენტი.

გ) **ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის** დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 25,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 1,0 ათ. ლარი, ე.ი. 24,0 ათ. ლარით ნაკლები.

დ) **სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი** გეგმით არ იყო გათვალისწინებული, საკასო შესრულებამ შეადგინა 19,5 ათ. ლარი.

ე) **არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის** დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 50,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 55,7 ათ. ლარი, ე.ი. 5,7 ათ. ლარით მეტი, ანუ 111,4 პროცენტი.

ვ) **სხვა გადასახადები ქონებაზე** გეგმით არ იყო გათვალისწინებული და არც შემოსულა.

1.2. **დამატებითი ღირებულების გადასახადის** დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 1468,1 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 233,1 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1701,2 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1659,7 ათ. ლარი, ე.ი. 41,5 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 97,6 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 501,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 43,3 პროცენტი.

ზემოაღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების გეგმის შესრულებას 194,7 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა 7161,5 ათ. ლარი, საკასო შესრულება 13939,9 ათ. ლარი, ანუ 6778,4 ათ. ლარით მეტი.

2. გრანტები

მისაღები გრანტების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 76,6 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 2055,9 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2132,5 ათ. ლარი,

საკასო შესრულებამ შეადგინა 1239,5 ათ. ლარი, ე.ი. 893,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 58,1 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 627,9 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 33,6 პროცენტი.

გრანტები სახეების მიხედვით დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

2.1. საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები გეგმით გათვალისწინებული არ ყოფილა და ფაქტიურად არ ჩაირიცხა.

2.2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 76,6 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 2055,9 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2132,5 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1239,5 ათ. ლარი, ე.ი. 893,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 58,1 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 627,9 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 33,6 პროცენტი. მათ შორის:

ა) მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 76,6 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 12,6 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 89,2 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 93,6 ათ. ლარი, ე.ი. 4,4 ათ. ლარით მეტი, ანუ 104,9 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მეტობა 23,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 33,5 პროცენტი.

გ) რეგიონების ფონდის განაწილება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად გეგმა დაუმტკიცდა 2043,3 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1145,9 ათ. ლარი, ე.ი. 897,4 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 56,1 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 651,1 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 36,2 პროცენტი.

გ) სხვა პროექტები გეგმით არ იყო გათვალისწინებული და არც დაფინანსდა.

ზემოაღნიშნული მონაცემები გვიჩვენებს გრანტებიდან მისაღები შემოსავლების შესრულებას 58,1 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა 2132,5 ათ. ლარი, საკასო შესრულება 1239,5 ათ. ლარი, ანუ 893,0 ათ. ლარით ნაკლები.

3. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 510,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 1589,4 ათ. ლარი, ე.ი. 1079,4 ათ. ლარით მეტი, ანუ 311,6 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 331,8 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 26,4 პროცენტი.

სხვა შემოსავლები სახეების მიხედვით დაიგეგმა და შესრულდა შემდეგნაირად:

3.1. საკუთრებიდან მისაღები შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 100,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 1073,9 ათ. ლარი, ე.ი. 973,9 ათ. ლარით მეტი, ანუ 1073,9 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 245,3 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 29,6 პროცენტი. მათ შორის:

ა) პროცენტებიდან მისაღები შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 80,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 122,1 ათ. ლარი, ე.ი. 42,1 ათ. ლარით მეტი, ანუ 152,6 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 52,8 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 76,2 პროცენტი.

გ) დივიდენდებიდან მისაღები შემოსავლები გეგმით არ იყო გათვალისწინებული და ფაქტიურად არც ჩარიცხულა.

გ) რენტიდან მისაღები შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 20,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 951,8 ათ. ლარი, ე.ი. 931,8 ათ. ლარით მეტი, ანუ 4759,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 192,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 25,4 პროცენტი. აქედან:

გ.ა) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან მისაღები შემოსავლები გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად ჩაირიცხა 944,8 ათ. ლარი,

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 191,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 25,4 პროცენტი.

გ.ბ) შემოსავალის მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 20,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 7,0 ათ. ლარი, ე.ი. 13,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 35,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 1,0 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 16,7 პროცენტი.

გ.გ) სხვა არაკლასიფიცირებული რენტიდან მისაღები შემოსავლები გეგმით არ იყო გათვალისწინებული და ფაქტიურად არც ჩარიცხულა.

3.2. საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 175,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 165,0 ათ. ლარი, ე.ი. 10,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 94,3 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 23,2 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 16,4 პროცენტი.

მათ შორის:

ა) ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 170,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 161,2 ათ. ლარი, ე.ი. 8,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 94,8 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 23,1 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 16,7 პროცენტი.

აქედან:

ა.ა) სანებართვო მოსაკრებლიდან მისაღები შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 15,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 9,0 ათ. ლარი, ე.ი. 6,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 60,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 5,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 157,1 პროცენტი.

ა.ბ) სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი არ შემოსულა.

ა.გ) სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან მისაღები შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 15,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა -7,5 ათ. ლარი, ე.ი. -22,5 ათ. ლარით ნაკლები, ანუ -50,0 პროცენტი.

ა.დ) ადგილობრივი მოსაკრებლი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის შემოსავლის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 140,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 159,7 ათ. ლარი, ე.ი. 19,7 ათ. ლარით მეტი, ანუ 114,1 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 25,1 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 18,6 პროცენტი.

ბ) არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან (შემოსავალი მომსახურების გაწევიდან) მისაღები შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 5,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 3,8 ათ. ლარი, ე.ი. 1,2 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 76,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 0,1 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 2,7 პროცენტი.

3.3. ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მისაღები შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 220,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 257,1 ათ. ლარი, ე.ი. 37,1 ათ. ლარით მეტი, ანუ 116,9 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 10,8 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 4,0 პროცენტი.

3.4. ტრანსფერებიდან, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული მისაღები შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 15,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 93,4 ათ. ლარი, ე.ი. 78,4 ათ. ლარით მეტი, ანუ 622,7 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 93,4 ათ. ლარით.

სხვა შემოსავლების მონაცემები გვიჩვენებს მისაღები შემოსავლების გეგმის შესრულებას 311,6 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა 510,0 ათ. ლარი, საკასო შესრულება 1589,4 ათ. ლარი, ე.ი. 1079,4 ათ. ლარით მეტი.

მთლიანობაში შემოსავლების მონაცემები გვიჩვენებს მისაღები შემოსავლების გეგმის შესრულებას 171,0 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა 9804,0 ათ. ლარი, საკასო შესრულება 16768,8 ათ. ლარი, ე.ი. 6964,8 ათ. ლარით მეტი.

II. არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 100,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 72,0 ათ. ლარი, ე.ი. 28,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 72,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 949,6 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 93,0 პროცენტი. მათ შორის:

1. ძირითადი აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად ჩაირიცხა 51,0 ათ. ლარი.
2. არაწარმოებული აქტივების (მიწა) კლებიდან მისაღები შემოსავლების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 100,0 ათ. ლარს, ფაქტიურად ჩაირიცხა 21,0 ათ. ლარი, ე.ი. 79,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 21,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 996.9 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 97,9 პროცენტი.

III. ფინანსური აქტივების კლება (სალდო)

ფინანსური აქტივების კლება (სალდო) გეგმით გათვალისწინებული არ ყოფილა და არც შემოსულა.

IV. ვალდებულებების ზრდა (სალდო) - გეგმით გათვალისწინებული არ ყოფილა, ფაქტიურად ჩაირიცხა 0,5 ათ. ლარი.

სულ შემოსულობების მონაცემები გვიჩვენებს შემოსულობების გეგმის შესრულებას 170,0 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა 9904,0 ათ. ლარი, საკასო შესრულება 16841,3 ათ. ლარი, ე.ი. 6937,3 ათ. ლარით მეტი.

B. ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილის დაფინანსება დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგნაირად:

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 6548,3 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 5350,3 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 11898,6 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 8657,3 ათ. ლარი, ე.ი. 3241,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 72,8 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 1656,6 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 23,7 პროცენტი.

ბიუჯეტის ასიგნება ორგანიზაცია - დაწესებულებებისა და მუხლების მიხედვით შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

I. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 1519,9 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 114,1 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1633,8 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1568,3 ათ. ლარი, ე.ი. 65,5 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 96,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 413,2 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 35,8 პროცენტი.

მათ შორის:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 455,8 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 53,5 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 509,3 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 456,4 ათ. ლარი, ე.ი. 52,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 89,6 პროცენტი. გასული წლის შესაბამის

პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 161,0 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 54,5 პროცენტი.

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 944,7 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 62,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1006,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1030,9 ათ. ლარი, ე.ი. 24,2 ათ. ლარით მეტი, ანუ 102,4 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 239,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 30,3 პროცენტი.

3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 32,8 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 6,6 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 39,4 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 36,5 ათ. ლარი, ე.ი. 2,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 92,6 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 12,0 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 49,0 პროცენტი.

4. სარეზერვო ფონდიდან გასაწევი ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 35,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად შემცირდა (განაწილდა) 8,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 27,0 ათ. ლარი, აღნიშნულ თანხებზე მოთხოვნა არ ყოფილა.

5. წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის თანხების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 10,0 ათ. ლარს, რაზეც მოთხოვნა არ ყოფილა.

6. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 41,4 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 44,5 ათ. ლარი, ე.ი. 3,1 ათ. ლარით მეტი, ანუ 107,5 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 0,7 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 1,6 პროცენტი.

მთლიანობაში მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსების მონაცემები გვიჩვენებს გადასახდელების დაფინანსებას 96,0 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა 1633,8 ათ. ლარი და საკასო შესრულება 1568,3 ათ. ლარი, ე.ი. 65,5 ათ. ლარით ნაკლები.

II. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 1938,1 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 3333,8 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 5271,9 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2934,0 ათ. ლარი, ე.ი. 2337,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 55,7 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 64,0 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 2,2 პროცენტი. მათ შორის:

1. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 688,2 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 893,5 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1581,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 928,6 ათ. ლარი, ე.ი. 653,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 58,7 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 1233,0 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 57,0 პროცენტი. აქედან:

1.1. გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 600,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 436,7 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1036,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 571,4 ათ. ლარი, ე.ი. 465,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 55,1 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 1460,0 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 71,9 პროცენტი.

მათ შორის:

ა) ქუჩების რეაბილიტაციის პროექტირება-ექსპერტიზის სამუშაოების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 14,2 ათ. ლარს, რაზეც მოთხოვნა არ ყოფილა.

ბ) 26 მაისის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 418,8 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 547,8 ათ. ლარით, გეგმაზე 129,0 ათ. ლარით მეტი, ანუ 130,8 პროცენტი, დაფინანსდა 464,0 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 45,2 ათ. ლარით მეტი, ანუ 110,8 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 83,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 84,7 პროცენტი. შპს „პალადას“ გადაერიცხა 464042,78 ლარი.

გ) წმინდა ნინოს ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 543,7 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 164,6 ათ. ლარით, გეგმაზე 379,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 30,3 პროცენტი, დაფინანსდა 107,4 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 436,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 19,8 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 57,2 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 65,2 პროცენტი. შპს „პალადას“ გადაერიცხა 107450,80 ლარი.

დ) საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე, მონიშვნის და საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 60,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და არც დაფინანსდა.

1.2. ქუჩების მიმდინარე შეკეთების ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 325,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 187,6 ათ. ლარით, გეგმაზე 137,4 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 57,7 პროცენტი, დაფინანსდა 178,2 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 146,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 54,8 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 9,4 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 95,0 პროცენტი. მათ შორის:

ა) სტიქიის სალიკვიდაციო გზების რეაბილიტაციის სამუშაოების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 25,0 ათ. ლარს, რაზეც მოთხოვნა არ ყოფილა.

ბ) ქუჩების ორმული შეკეთების ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 300,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 187,6 ათ. ლარით, გეგმაზე 112,4 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 62,5 პროცენტი, დაფინანსდა 178,2 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 121,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 59,4 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 9,4 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 95,0 პროცენტი. შპს „გზამშენებელი-13“-ს გადაერიცხა 178172,97 ლარი.

1.3. საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების სამუშაოების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 64,3 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 20,3 ათ. ლარით და სრულად დაფინანსდა 20,3 ათ. ლარით.

მათ შორის:

ა) ვიდეო კამერების მოვლა-პატრონობის სამუშაოების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 44,3 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 20,3 ათ. ლარით და სრულად დაფინანსდა 20,3 ათ. ლარით. შპს „დელტა კონსალტინგს“ გადაერიცხა 20220,09 ლარი.

ბ) ვიდეო კამერების კაპ რემონტის სამუშაოების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 20,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და არც დაფინანსდა.

1.4. ქუჩების სარემონტო სამუშაოების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 88,2 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 67,5 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 155,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 158,7 ათ. ლარი, ე.ი. 3,0 ათ. ლარით მეტი, ანუ 101,9 პროცენტი.

2. გარე განათების ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 147,6 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 148,2 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 295,8 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 332,1 ათ. ლარი, ე.ი. 36,3 ათ. ლარით მეტი, ანუ 112,3 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 115,3 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 53,2 პროცენტი.

აქედან:

2.1. გარე განათების ელ. ენერგიის ხარჯების ანაზღაურების გადასახდელების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 130,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 164,7 ათ. ლარით, გეგმაზე 34,7 ათ. ლარით მეტი, ანუ 126,7 პროცენტი და სრულად დაფინანსდა 164,7 ათ. ლარით. სს „ეპ ჯორჯია მიწოდებას“ გადაერიცხა 164674.90 ლარი გარე განათების ელ. ენერგიის ღირებულება.

2.2. ფაზისის ქუჩის გარე განათების მოწყობის ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 101,1 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 97,5 ათ.

ლარით, გეგმაზე 3,6 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 96,4 პროცენტი, დაფინანსდა 95,1 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 6,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 94,1 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 2,4 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 97,5 პროცენტი. შპს „მშენებელი-5“-ს გადაერიცხა 95086,32 ლარი.

2.3. გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ხარჯების ანაზღაურების გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 47,6 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 17,1 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 64,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 72,3 ათ. ლარი, ე.ი. 7,6 ათ. ლარით მეტი, ანუ 111,7 პროცენტი (სამუშაოები შეასრულა სერვისების ცენტრმა). გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 7,1 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 10,9 პროცენტი.

3. სანიაღვრე არხებისა და სატუმბო სადგურების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 172,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 450,1 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 622,1 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 378,9 ათ. ლარი, ე.ი. 243,2 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 60,9 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 216,4 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 133,2 პროცენტი. აქედან:

3.1. სატუმბო სადგურების ელ. ენერგიის ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 14,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 11.7 ათ. ლარით, გეგმაზე 2,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 83,6 პროცენტი და სრულად დაფინანსდა 11,7 ათ. ლარით. სს „ეპ ჯორჯია მიწოდებას“ გადაერიცხა 11707,74 ლარი სატუმბო სადგურების ელ. ენერგიის ღირებულება.

3.2. აბესალომ ვეკუას ქუჩაზე ახალი სატუმბო სადგურის მშენებლობის დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 317,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 159,1 ათ. ლარით, გეგმაზე 157,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 50,2 პროცენტი, დაფინანსდა 151,2 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 165,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 47,7 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 7,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 95,0 პროცენტი. შპს „ტოტალს“ გადაერიცხა 151190,90 ლარი.

3.3. სატუმბო სადგურების კაპ. შეკეთების ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 50,0 ათ. ლარს, რაც არ დაფინანსდა.

3.4. სატუმბო სადგურების რეაბილიტაციის პროექტირება-ექსპერტიზის ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 10,0 ათ. ლარს, რაც არ დაფინანსდა.

3.5. სანიაღვრე არხებისა და სატუმბო სადგურების მოვლა პატრონობის ხარჯების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 178,1 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 139,8 ათ. ლარი, ე.ი. 38,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 78,5 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 139,8 ათ. ლარით.

3.6. სანიაღვრე არხების მოწყობა, სატუმბო სადგურების მშენებლობა-რეაბილიტაციის ხარჯების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 377,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 151,2 ათ. ლარი, ე.ი. 225,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 40,1 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 151,2 ათ. ლარით.

3.7. სამელიორაციო სამუშაოების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 160,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად შემცირდა 107,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 53,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 76,2 ათ. ლარი, ე.ი. 23,2 ათ. ლარით მეტი, ანუ 143,8 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 75,9 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 49,9 პროცენტი.

4. გინათმშენებლობის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 74,4 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 1066,9 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1141,3 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 617,1 ათ. ლარი, ე.ი. 524,2 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 54,1 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 577,0 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 1438,9 პროცენტი. აქედან:

4.1. მრავალსართულიანი ს/სახლების ფასადების, სახურავებისა და სადარბაზოების რეაბილიტაციის დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 923,9 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 454,6 ათ. ლარით, გეგმაზე 469,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 49,2 პროცენტი, დაფინანსდა 548,8 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 375,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 59,4 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 94,2 ათ. ლარით მეტი, ანუ 120,7 პროცენტი. მათ შორის:

ა) მრავალსართულიანი ს/სახლების სახურავების რეაბილიტაციის დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 462,9 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 391,5 ათ. ლარით, გეგმაზე 71,4 ლარით ნაკლები, ანუ 84,6 პროცენტი, დაფინანსდა 407,1 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 55,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 87,9 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 15,6 ათ. ლარით მეტი, ანუ 104,0 პროცენტი. სხვადასხვა ორგანიზაციებს გადაერიცხა 407108,52 ლარი.

ბ) მრავალსართულიანი ს/სახლების სახურავების რეაბილიტაციის (სხვადასხვა ქუჩებზე) დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 316,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და დაფინანსდა 78,6 ათ. ლარით. შპს "GDS Company"-ს გადაერიცხა 78666,00 ლარი.

გ) ვაჩნაძის ქუჩაზე № 9 ს/სახლის გადახურვის სამუშაოების ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 70,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 62,1 ათ. ლარით, გეგმაზე 7,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 88,7 პროცენტი და სრულად დაფინანსდა 62,1 ათ. ლარით. შპს „ბემას" გადაერიცხა 62123,15 ლარი.

დ) მრავალსართულიანი ს/სახლების სახურავების რეაბილიტაციის პროექტირება-ექსპერტიზის ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 30,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და არც დაფინანსდა.

ე) ელადას ქუჩა № 14 მდებარე ს/სახლის მდგრადობის ექსპერტიზის დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 0,5 ათ. ლარით და სრულად დაფინანსდა. სსიპ სამხარაულის ეროვნ. ექსპერტიზის ბიუროს გადაერიცხა 500,00 ლარი.

ვ) რუსთაველის რკალი № 18 ს/სახლის მდგრადობის ექსპერტიზის დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 0,5 ათ. ლარით და სრულად დაფინანსდა. სსიპ სამხარაულის ეროვნ. ექსპერტიზის ბიუროს გადაერიცხა 500,00 ლარი.

ზ) აღმაშენებლის ქუჩა № 31-ში მდებარე ს/სახლის გამაგრების სამუშაოების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 45,0 ათ. ლარს, რაც არ დაფინანსდა.

4.2. მრავალსართულიანი ს/სახლების ლიფტების რეაბილიტაცია, ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 118,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და არც დაფინანსდა.

ა) მრავალსართულიანი ს/სახლების ლიფტების კაპ. შეკეთების ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 100,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და არც დაფინანსდა.

ბ) მრავალსართულიანი ს/სახლების ლიფტების რეაბილიტაციის პროექტირება-ექსპერტიზის ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 18,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და არც დაფინანსდა.

4.3. საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 74,4 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 25,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 99,4 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 68,3 ათ. ლარი, ე.ი. 31,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 68,7 პროცენტი (სამუშაოები შეასრულა სერვისების ცენტრმა). გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 28,2 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 70,3 პროცენტი.

5. მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 320,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და არც დაფინანსდა. აქედან:

ა) ბავშვთა ცენტრის ადმინ. შენობის კაპ. შეკეთების სამუშაოების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 50,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და არც დაფინანსდა.

ბ) ადმინ. შენობის კაპ. შკეთების სამუშაოების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 250,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და არც დაფინანსდა.

გ) ადმინ. შენობის კაპ. შკეთების პროექტირება-ექსპერტიზის სამუშაოების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 20,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და არც დაფინანსდა.

6. კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 440,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 236,7 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 676,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 379,7 ათ. ლარი, ე.ი. 297,0 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 56,1 პროცენტი. აქედან:

6.1. საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 642,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 375,9 ათ. ლარით, გეგმაზე 266,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 58,6 პროცენტი, დაფინანსდა 345,1 ათ. ლარით, ე.ი. გეგმაზე 296,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 53,8 პროცენტი და ფაქტიურ შესრულებაზე 30,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 91,8 პროცენტი. სხვადასხვა ორგანიზაციებს გადაერიცხა 345155,93 ლარი.

ა) მრავალბინიანი ს/სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 300,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და არც დაფინანსდა.

ბ) მრავალბინიანი ს/სახლების ეზოების კეთილმოწყობის პროექტირება-ექსპერტიზის სამუშაოების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 22,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და არც დაფინანსდა.

გ) სახელმწიფო დროშების შეძენის დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 7,7 ათ. ლარით და სრულად დაფინანსდა. შპს „თიგოს“ გადაერიცხა 3965,96 ლარი, შპს „თეუ ჯგუფს“ გადაერიცხა 3757,12 ლარი.

დ) ცენტრალური კულტურისა და დასვენების პარკში შადრევნების მოწყობის სამუშაოების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 194,9 ათ. ლარით და დაფინანსდა 196,0 ათ. ლარით. შპს „ტოტალს“ გადაერიცხა 195996,28 ლარი.

ე) ცენტრალური კულტურისა და დასვენების პარკში ავტოდრომის მოწყობის სამუშაოების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 173,3 ათ. ლარით და დაფინანსდა 141,4 ათ. ლარით. ი/მ „ზ. მესხიას“ გადაერიცხა 141436,57 ლარი.

ვ) პარკების, სკვერების კეთილმოწყობა, გამწვანების სამუშაოების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 150,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და არც დაფინანსდა.

ზ) რკინიგზის მიმდებარედ ორთქმავლის პედესტალის მოწყობის ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 70,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და არც დაფინანსდა.

თ) სასაწყობე მეურნეობის მშენებლობის ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 100,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა არ შესრულდა და არც დაფინანსდა.

7. სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 140,0 ათ. ლარს, ფაქტიურად სამუშაოების მოცულობა შესრულდა 30,7 ათ. ლარით, გეგმაზე 109,3 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 21,9 პროცენტი და სრულად დაფინანსდა 30,7 ათ. ლარით. შპს „ექსპერტ ჰაუსს“ გადაერიცხა 30667,22 ლარი შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

8. ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის პროექტირების ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 100,8 ათ. ლარს, რაზეც მოთხოვნა არ ყოფილა.

9. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტირების თანადაფინანსების ხარჯების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 70,0 ათ. ლარს, რაც ცვლილებით სრულად შემცირდა.

10. სასაფლაოების მოვლა-პატრონობის სამუშაოების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 26,3 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 8,4 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 34,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 34,6 ათ. ლარი, ე.ი. 0,1 ათ. ლარით ნაკლები; ანუ 99,7 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 10,3 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 42,4 პროცენტი.

11. სერვისების ცენტრის ხელშეწყობის სამუშაოების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 72,4 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 12,4 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 84,8 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 83,4 ათ. ლარი, ე.ი. 1,4 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 98,3 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 9,4 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 12,7 პროცენტი.

12. მელიორაციის ხელშეწყობის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 31,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად შემცირდა 20,9 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 10,1 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 10,2 ათ. ლარი, ე.ი. 0,1 ათ. ლარით მეტი, ანუ 101,0 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 19,3 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 65,4 პროცენტი.

13. ცენტრალური პარკის ხელშეწყობის ხარჯების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 42,5 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 212,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 254,5 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 150,3 ათ. ლარი, ე.ი. 104,2 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 59,1 პროცენტი.

14. მუნიციპალური ინსპექციის ხელშეწყობის ხარჯების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 44,1 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 23,0 ათ. ლარი, ე.ი. 21,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 52,2 პროცენტი.

ინფრასტრუქტურის სამუშაოებს 2022 წლის 1 ივლისისთვის (II კვარტალი) ერიცხებოდა:

ა) დებიტორული დავალიანება - 181131,56 ლარი;

ბ) კრედიტორული დავალიანება - 163828,04 ლარი.

ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროს დაფინანსების მონაცემები გვიჩვენებს გადასახდელების დაფინანსებას 55,7 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 5271,9 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 2934,0 ათ. ლარი, ე.ი. 2337,9 ათ. ლარით ნაკლები.

IV. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 434,1 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 412,6 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 846,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 675,8 ათ. ლარი, ე.ი. 170,9 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 79,8 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 215,4 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 46,8 პროცენტი.

მათ შორის:

1. დასუფთავება და ნარჩენების გატანის სამუშაოების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 264,0 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 222,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 486,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 442,2 ათ. ლარი, ე.ი. 43,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 91,0 პროცენტი.

2. დასუფთავების მოსაკრებელის ადმინისტრირების გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 30,3 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 2,6 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 32,9 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 31,7 ათ. ლარი, ე.ი. 1,2 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 96,4 პროცენტი.

3. გამწვანების სამუშაოების გადასახდელების დაფინანსება გეგმით არ იყო გათვალისწინებული.

4. გამწვანებული ტერიტორიების მოვლა - პატრონობის სამუშაოების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 115,3 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 168,8 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 284,1 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 165,0 ათ. ლარი, ე.ი. 119,1 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 58,1 პროცენტი.

5. უმეთვალყუროდ დარჩენილი ცხოველების იზოლაციის სამუშაოების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 24,5 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 19,2 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 43,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 36,9 ათ. ლარი, ე.ი. 6,8 ათ. ლარით ნაკლები, ანუ 84,4 პროცენტი.

დასუფთავება და გარემოს დაცვის სამუშაოებს 2022 წლის 1 ივლისისათვის (მეორე კვარტალი) დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები არ ერიცხებოდა.

მთლიანობაში დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროს დაფინანსების მონაცემები გვიჩვენებს გადასახდელების დაფინანსებას 79,8 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 846,7 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 675,8 ათ. ლარი, ე.ი. 170,9 ათ. ლარით ნაკლები.

IV. განათლება

განათლების გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 755,3 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 111,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 866,3 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 887,7 ათ. ლარი, ე.ი. 21,4 ათ. ლარით მეტი, ანუ 102,5 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 92,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 11,6 პროცენტი. მათ შორის:

1. სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება ა(ა)იპ - თვითმმართველი ქალაქის - ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების გადასახდელების დაფინანსების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 755,3 ათ. ლარს, ცვლილებების შედეგად გაიზარდა 96,0 ათ. ლარით და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 851,3 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 867,7 ათ. ლარი, ე.ი. 16,4 ათ. ლარით მეტი, ანუ 101,9 პროცენტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 161,6 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 22,9 პროცენტი.

2. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების რეაბილიტაციის ხარჯების დაფინანსება გეგმით გათვალისწინებული არ ყოფილა.

3. საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 15,0 ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 20,0 ათ. ლარი, ე.ი. 5,0 ათ. ლარით მეტი, ანუ 133,3 პროცენტი.

განათლების სფეროს 2022 წლის 1 ივლისისათვის (მეორე კვარტალი) დავალიანებები არ ერიცხებოდა.

V. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი

